

მეტი ეფექტურობისათვის კი შესაძლებელია შეიქმნას საერთაშორისო დონორებისა და პოტენციურ ინვესტორების მონაცემთა ბაზა, მათთან ურთიერთობების აგებისა და წარმართვი მექანიზმები/ინსტრუმენტები შესაბამისი კადრებითა და სხვა რესურსებით. ასევე შეიძლებოდა, გვეფიქრა გარკვეული ქმედებების განხორციელებაზე მუნიციპალიტეტის მხრიდან ამ მიმართულებით (მაგ-ად: კონკურსის საფუძველზე ყოველწლიურად, მუნიციპალიტეტ-ეკონომიკური განვითარების გეგმის შესაბამისი, 3-5 ინოვაციური და ეფექტური ბიზნეს პროექტისათვის მხარდაჭერის შესახებ. ამ სქემაში მომავალში შესაძლებელია ჩაერთოს - ა(ა)ი „ზესტაფონის მუნიციპალიტეტის განვითარების ფონდი“. ასევე მუნიციპალიტეტს შეუძლია ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც შექმნიან წინაპირობებს (საინვესტიციო და სხვა ტიპის მიმზიდველობა), რომელიც ფინანსური რესურსების ზესტაფონის მუნიციპალიტეტში მოზიდვას შეუწყობს ხელს.

6.5. მიწა და ინფრასტრუქტურა

ზესტაფონის მუნიციპალიტეტი ქალაქის ჩათვლით მოიცავს 19 ადმინისტრაციულ ერთეულ მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების და ინვესტიციების მოზიდვის ერთ-ერთ შემადგენელ ფაქტორს წარმოადგენს მიწათსარგებლობის და განაშენიანების გენერალური გეგმის არ არსებობა.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ არ არსებობს ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე არსებული ქონების მიზნობრივად, ინვესტიციების მოსაზიდად და სამუშაო ადგილებზე შექმნის მიმართულებით შედგენილი გეგმები.

იმ შემთხვევაში თუ შედგენილ იქნება მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის განაშენიანების გენერალური გეგმა, ეს მნიშვნელოვნად უზრუნველყოფს ინვესტორებს დაინტერესებას და ქალაქის თანაბარ ურბანულ განვითარებას.

ამჟამად ქალაქი ზესტაფონი ფაქტიურად უზრუნველყოფილია კომუნალური ინფრასტრუქტურით. კერძოდ: ელექტროფიცირება 100%, გაზიფიცირება 98 %, პრობლემატური სასმელი წყლით მომსახურებაში 70%, ინტერნეტის წვდომა შეადგენს 65%-ს.

მუნიციპალიტეტის სოფლების 60%-ში მოქმედებს ადგილობრივი წყალმომარაგების სისტემები, გაზიფიცირებულია 70%-მდე მოსახლეობა. მიმდინარეობს ადგილობრივი გზების შეკეთების სამუშაოები.

თუმცა მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურის მიმართულებით ჯერ კიდევ ბევრ საკეთებელი, მათ შორის როგორც ქალა ზესტაფონში, ასევე სოფლებში.

გეგმის შემუშავების პროცესში გამოიკვეთა „საინვესტიციო კატალოგის“ შექმნის იდეა, რომელსაც სრულად აღირიცხება მიწის ნაკვეთები და უძრავი ქონება, რომლებიც სახელმწიფო მუნიციპალიტეტის საკუთრებაშია და შესაძლებელია მათი საინვესტიციო მიზნებისათვის გამოყენება.

ამავე კატალოგში მითითებული იქნება მიწისა და უძრავი ქონების მნიშვნელოვანი პარამეტრებიც. სასურველია თითოეული მიწის ნაკვეთისა და უძრავი ქონებას მიეზიდავს საინვესტიციო მიმზიდველ მექანიზმები გარკვეული წინადადებები /სხვადასხვა ტიპის შეღავათები, დაბალი ფასები და ა. შ.), ამავე დროს საჭირო იქნება მუნიციპალიტეტის ინიციატივა სახელმწიფოს წინაშე (ეკონომიკის სამინისტრო) და

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწისა და უძრავი ქონების ნაწილი, საჭიროების შემთხვევაში გამარტივებული წესით გაიცეს ინვესტორზე - იჯარის წესით ან საკუთრებაში გარკვეული პირობებ